

სოციალურ სამართლიანობას გენდერული ბიუჯეტი უკავშირებს

სასტუმრო გუდაურში გაიმართება სემინარი „გენდერული ბიუჯეტი — გზა სოციალური სამართლიანობისადმი“.

სემინარი ტარდება პროექტის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის მიერ საქართველოს პარლამენტთან თანამშრომლობით. პროექტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა გენდერულად მგრძობიარე ბიუჯეტის ინტეგრირება სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში და ეკონომიკისა და პოლიტიკის ყველა სფეროში ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის დამკვიდრება.

სემინარის მიზანია, გააცნოს მონაწილეებს გენდერული ბიუჯეტის ფუნდამენტური კონცეფციები, გენდერული ბი-

უჯეტის ფორმირებაში, მიღებასა და განხორციელებაში სხვადასხვა ქვეყნის სართავი გამოცდილება, ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტები და მეთოდოლოგიის საკითხები. სემინარში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, საქართველოს და სომხეთის საპარლამენტო კომიტეტებისა და სამინისტროების წარმომადგენლები. გენდერული ბიუჯეტი არის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება და პოლიტიკური დეკლარაცია, რომელიც ასახავს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრიორიტეტებს, უზრუნველყოფს ქვეყანაში არსებულ საფინანსო რესურსების განაწილებას გენდერულად დიფერენცირებული პრინციპით და ემსახურება სოციალური თანასწორობის განხორციელებას სახელმწიფო

ფინანსების წარმოქმნასა და განაწილებაში. გენდერული ბიუჯეტი და გენდერულ პრობლემებზე აქცენტირება საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებაა, რომელიც ასახულია ათასწლეულის მიზნებში. 2004 წელს საქართველოც შეუერთდა ათასწლეულის მიზნებისა და ამოცანების კონცეფციას. ამის შესაბამისად, აუცილებელი ხდება რაციონალური პოლიტიკის შემუშავება, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება სახელმწიფო ხელისუფლების ინტერესებისა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების გენდერულ განსხვავებას, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას მიზნობრივად დაგეგმოს განვითარების მაჩვენებლები და გამოიყენოს შესაბამისი ინსტრუმენტები კონკრეტული სოციალური ფენებისა და სქესის ინტერესების დასაცავად.